ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N181

2016 წლის 24 ნოემბერი
ქ.ქობულეთი

ს/ს ,,ენერგო-პრო ჯორჯია"-სათვის
საზოგადოებრივი სივრცის გამოყენებაზე
თანხმობის მიცემის შესახებ

,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის N57 დადგენილების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1.მიეცეს თანხმობა ს/ს ,,ენერგო-პრო ჯორჯიას" ქობულეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ჩაქვი, აღმაშენებლის ქ.N28-ში ახალ ქსელზე მიერთების მიზნით (ქობულეთის მუნიციპალიტეტის კუთვნილი ობიექტზე) 0.38 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისათვის საჭირო მიწისზედა სამუშაოების წარმოებაზე, თანდართული ნახაზის შესაბამისად.

2. ს/ს ,,ენერგო-პრო ჯორჯიამ" უზრუნველყოს საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურთან, ქ.ქობულეთში არსებული სხვა საინჟინრო-კომუნალური ქსელების მეპატრონეებთან.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობისა და ზედამხედველობის სამსახურებს.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ს.ოქროპირიძე

		ENERGO-PRO GEORGIA
		ქობულეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ჩაქვში მდებარე სსიპ თვითმართველი თემი ქობულეთის მუნიც.-ს ობიექტი
სპეც.	ი. ჯიბლაძე	სიტუაციური გეგმა
		0.4კვ. ძაბვის ეგხ-ს ტრასის გეგმა

სტადია	ფურცელი	ფურცლები
მ.პ.	1	1

სს ენერგო-პრო ჯორჯია
ქ. ბათუმი ბაგრატიონის ქ. №103
2016 წ.

Meters
14 21 28